პრაქტიკული სახელმძღვანელო საქმიანი წრეებისთვის



რეცენზია წიგნზე:
იჯარის და ლიზინგის აღრიცხვა და დაბეგვრა,
ავტორები: **ნარიმან ტერაშვილი, ჯემალ ქიტიაშვილი, დავით ბიბიჩაძე.**
გამომცემლობა „უნივერსალი“,
თბილისი, 2014 წ. 178 გვ.

ჯერ კიდევ ანტიკური ხანაში, არისტოტელეს შეუნიშნავს, რომ **„სიმდიდრე მოაქვს ქონების გამოყენებას და არა საკუთრების უფლებას“.** სწორედაც რომ ასეა!

ვინც ამ სიბრძნეს ფლობს, ეკონომიკურ საქმიანობაში გამოსაყენებლად შრომის საშუალებების მოზიდვის ალტერნატიულ გზებს ირჩევს. სულაც არაა აუცილებელი, ტრანსპორტის, დაზგა-დანადგარების, შენობა-ნაგებობების ან თუნდაც მიწის ფართის შესაძენად დიდძალი ფული ერთბაშად დახარჯო მაშინ, როცა საკუთარი თავისუფალი სახსრები შეზღუდულია და შესაძლებელია სხვისი აქტივებითაც წარმატებით ისარგებლო.

ქირა, იჯარა, ლიზინგი — დიდი ხანია მეწარმეთათვის უცხოდ არ ჟღერს, თუმცა ფორმათა მრავალფეროვნების გამო, მათი ეკონომიკური არსი ბევრს დღესაც არ ესმის. უფრო რთული ვითარებაა იჯარის, ლიზინგის ბუღალტრული აღრიცხვისა და დაბეგვრის პრაქტიკაში. დარღვევათა უმეტესი ნაწილი სწორედ ამ სფეროში გვხვდება.

იჯარისა და ლიზინგის ბუღალტრული აღრიცხვისა და დაბეგვრის სამეურნეო ოპერაციების სწორად წარმართვა პრაქტიკოს ბუღალტრებსაც კი უჭირთ. საქართველოს საგადასახადო კოდექსში შესულმა ცვლილებებმა (ვითარების შესაბამისმა და ბოლომდე გაუაზრებელმა გადაწყვეტილებებმა) ერთგვარი თავსატეხი გაუჩინა მეწარმეებს. კერძოდ, 2010 წლამდე ბასს-ის მოთხოვნები და დაბეგვრის მიზნებისთვის რეგულაციები არსებითად განსხვავებული იყო. 2010 წლის 1 იანვრიდან 2011 წლის 1 ნოემბრამდე და 2011 წლის 1 ნოემბრის შემდგომი პერიოდისთვის კი ახალი რეგულაციები ამოქმედდა. 2010 წლამდე საგადასახადო კოდექსის მიზნებისთვის ამორტიზაციას დაქვემდებარებული ძირითადი საშუალებების **ფინანსური იჯარა ითვლებოდა საქონლის მიწოდებად.** ამდენად, გადასახადის გადამხდელს ფინანური იჯარის (ლიზინგის) სამეურნეო ოპერაციებზე ეკისრებოდა მოგების გადასახადის გადახდის ვალდებულება. დღგ-ის გადამხდელი ვალდებული იყო საქონლის მიწოდებაზე დაერიცხა და გადაეხადა აგრეთვე დღგ. ლიზინგის მიმღებს წარმოეშობოდა ქონების გადასახადის გადახდის ვალდებულება და მას უფლება ჰქონდა ყოველწლიურად გამოექვითა საგადასახადო კოდექსით დადგენილი წესით გაანგარიშებული ლიზინგის საგნის საამორტიზაციო ანარიცხები; 2010 წლის 1 იანვრიდან 2011 წლის 1 ნოემბრამდე პერიოდში ამორტიზაციას დაქვემდებარებული ძირითადი საშუალებების ერთ წელზე მეტი ვადით ლიზინგით გაცემა ითვლებოდა მომსახურების გაწევად, ხოლო 2011 წლის 1 ნოემბრიდან ამ ცნების ქვეშ მოიაზრება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად განსაზღვრული ლიზინგი, თუ მისი საგანი არის ამორტიზაციას დაქვემდებარებული აქტივი (1000 ლარზე მეტი ღირებულების ძირითადი საშუალება ან არამატერიალური აქტივი). გარდა ამისა, აღნიშნულ პერიოდში იჯარის და ლიზინგის დაბეგვრის ნორმების ინტერპრეტირება ხდებოდა კანონქვემდებარე აქტებითაც. არ არის გამორიცხული, რომ ამჟამად ჩამოყალიბებული მიდგომა კვლავ შეიცვალოს. ასეთი ტრანსფორმაცია და არასტაბილურობა, ცხადია, ძნელი აღსაქმელიცაა და ბიზნესში ჩართული პირებისთვის დისკომფორტსაც ქმნის. აქედან გამომდინარე, ბევრ გაუგებრობას ჰქონდა ადგილი, რის გამოც, არაერთ მეიჯარეს და მოიჯარესაც შეექმნა პრობლემა, ზოგი მათგანი სავალალო შედეგითაც დასრულდა.

ცხადია, ეკონომიკურ საქმიანობაში ოპტიმალური სარგებლის მისაღებად იჯარის თუ ლიზინგის ფორმის შერჩევას, აგრეთვე მის ბუღალტრულ აღრიცხვასა და დაბეგვრას კვალიფიციური ცოდნა-გამოცდილება სჭირდება. კომპიუტერის და ინტერნეტის ეპოქაში სპეციალური ლიტერატურის დეფიციტზე, საჭირო განმარტების მიღების შეზღუდულ შესაძლებლობებზე ვერ დაიჩივლებ, თუმცა დღემდე არ იყო ელექტრონული თუ

ბეჭდური სახის პრაქტიკული სახელმძღვანელო, საიდანაც იჯარისა და ლიზინგის ბუღალტრული აღრიცხვისა და დაბეგვრის საკითხებთან დაკავშირებულ კითხვებზე ერთად, სრულყოფილი პასუხი რომ მიგეღო. კონკრეტული შემთხვევისთვის სავარაუდო გადაწყვეტა უნდა გეძებნა ნორმატიულ აქტებში, ცალკეული ავტორის ნაშრომში ან გეკითხა გამოცდილი ექსპერტებისთვის.

დარწმუნებით შემიძლია ვთქვა, რომ ამიერიდან დაინტერესებულ პირებს თავსატეხი მოეხსნებათ: გამომცემლობა „უნივერსალმა" გამოსცა **ნარიმან ტერაშვილის, ჯემალ ქიტიაშვილის** და **დავით ბიბიჩაძის** ავტორობით მომზადებული წიგნი **„იჯარის და ლიზინგის აღრიცხვა და დაბეგვრა".** მასში დეტალურად განხილულია იჯარისა და ლიზინგის არსი, ყველა შესაძლო შემთხვევისთვის, პრაქტიკული მაგალითების მიხედვით დამაჯერებლად, ამომწურავად გადმოცემულია იჯარის და ლიზინგის აღრიცხვის, ასევე, მათი დაბეგვრის თავისებურებანი 2010 წლამდე, 2010 წლიდან 2011 წლის 1 ნოემბრამდე და შემდგომ პერიოდში. წიგნს ერთვის ქირავნობის, იჯარის და ლიზინგის ხელშეკრულების ნიმუშები.

საყურადღებოა, რომ წიგნის ავტორები ცნობილი და აღიარებული ექსპერტები არიან - წარმოადგენენ შემოსავლების სამსახურს და წარმატებულ აუდიტორულ კომპანიებს: **ნარიმან ტერაშვილი,** ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, 100-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი, შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტის მეთოდოლოგიის სამმართველოს მთავარი ექსპერტ-აუდიტორია; **ჯემალ ქიტიაშვილი** აუდიტორული ფირმა „ათოსის" მთავარი კონსულტანტია საგადასახადო და ბუღალტრული აღრიცხვის საკითხებში; **დავით ბიბიჩაძე,** ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, სერთიფიცირებული აუდიტორი ზოგად, საბანკო და სადაზღვევო ორგანიზაციათა აუდიტში, აუდიტორული კომპანია შპს „ბაკაშვილი და კომპანიის" აღმასრულებელი დირექტორია. ავტორთა ასეთი შემადგენლობა უკვე ნიშნავს, რომ წიგნში შერწყმულია კომპეტენტურობა, მდიდარი გამოცდილება და მაღალი კვალიფიკაცია. რაც მთავარია, ეჭვს არ იწვევს მათ მიერ განხილული საკითხების სისწორე და ამ მხრივ, წიგნის სანდოობის ხარისხი მაღალია.

მკითხველის ყურადღების მისაქცევად მხოლოდ ავტორთა შემადგენლობაც სრულიად საკმარისი იყო, თუმცა მეტი სიცხადისთვის, არ იქნება ზედმეტი აქცენტირება იმაზე, რომ იჯარისა და ლიზინგის აღრიცხვა-დაბეგვრის საკითხების აქ წარმოდგენილი პრაქტიკული გადაწყვეტა სრულად ეყრდნობა (პასუხობს) მოქმედი ნორმატიული აქტების (საგადასახადო კოდექსის და მასთან დაკავშირებული ინსტრუქციების) მოთხოვნებს და ამდენად, მათი იმგვარად გამოყენება, როგორადაც აღნიშნულ წიგნშია შეთავაზებული, გადამხდელებს განარიდებს დაბეგვრასთან დაკავშირებულ ყოველგვარ რისკებს. ავტორთა ჩანაფიქრი და მიზანიც ეს იყო: დახმარება გაეწიათ გადამხდელთათვის ამ მართლაც რთული და პრობლემური სამეურნეო ოპერაციის სწორად წარმართვის პროცესში. მიზანი უნაკლოდ მიღწეულია და მომხმარებლისთვის მიმზიდველი ღირებულებითი მაჩვენებლებიც სახეზეა. წიგნით სარგებლობისას ყველა სახის ორგანიზაციულ-სამართლებრივი წარმონაქმნი, რეზიდენტი თუ არარეზიდენტი იურიდიული და ფიზიკური პირი (ინდივიდუალური მეწარმე) მიიღებს იჯარა/ლიზინგის სამეურნეო ოპერაციასთან დაკავშირებულ ნებისმიერ კითხვაზე საჭირო პასუხს.

ასეთ ღირსებათა გამო, აწ უკვე დაინტერესებულ პირთათვის ხელმისაწვდომი ეს წიგნი შეიძლება ჩაითვალოს, როგორც იჯარისა და ლიზინგის აღრიცხვა-დაბეგვრის საკითხებში პრაქტიკული სახელმძღვანელო, რომლითაც თამამად შეუძლიათ ისარგებლონ ბუღალტრებმა, აუდიტორებმა, ბიზნესის სფეროში მოღვაწე ყველა რანგის პირმა. წიგნი, როგორც დამატებითი სახელმძღვანელო, გამოადგებათ სტუდენტებსაც, ვინც ეუფლება ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის, აგრეთვე ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულების სპეციალობებს.

როცა წიგნის პოზიტივებზე ასე გაბედულად ვამახვილებთ ყურადღებას, სავსებით ბუნებრივად ჩნდება ინტერესი, არის თუ არა შენიშვნა ან ნაკლი, რომელიც მომხმარებელმა უნდა იცოდეს. იმ მიზნიდან და ამოცანიდან გამომდინარე, რაც ავტორებს ჰქონდათ დასახული, შენიშვნები არ მაქვს და ვერც ნაკლი აღმოვაჩინე, თუმცა გამიჩნდა სურვილი უფრო გამოკვეთილად მიმეღო ავტორთა პოზიცია შემდეგ საკითხებზე:

- რა განსხვავებაა იჯარისა და ლიზინგის აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებსა და საგადასახადო მოთხოვნებს შორის?

- რამ განაპირობა ლიზინგის აღრიცხვის მიმართ საგადასახადო ნორმების ასე ხშირი ცვლილება (რა მიზნებს ან ინტერესებს ემსახურებოდა ეს)?

- რაში შეიძლება დასჭირდეს გადამხდელს ლიზინგის აღრიცხვის თავისებურებების ასე დეტალური აღწერა 2010 წლამდე, 2010 წლიდან 2011 წლის 1 ნოემბრამდე და შემდგომ პერიოდში?

- რამდენად სამართლიანია იჯარა/ლიზინგის დაბეგვრის მიმართ დღეს არსებული მიდგომა?

- არის თუ არა აუცილებელი კვლავ საგადასახადო ცვლილებები და როგორი საბოლოო სახე უნდა მიიღოს იჯარისა და ლიზინგის აღრიცხვა-დაბეგვრამ?

ჩემი აზრით, ეს წიგნს კვლევის ფორმატსაც შესძენდა და შესაბამისად საინტერესოს გახდიდა მეცნიერული თვალსაზრისითაც. თუმცა ობიექტურობისთვის, უნდა შევნიშნოთ, რომ პრაგმატულ მოსაზრებათა გამო, ავტორების მიერ ასეთი ჩანართი თავიდანვე არ იყო გათვალისწინებული, ამასთან, ვაღიარებ, ამას წიგნის პრაქტიკული ღირებულებაც შეიძლება დაეზიანებინა.

ყოველ შემთხვევაში, მომეცა შანსი და ერთ-ერთი პირველი მკითხველის რანგში გაგიზიარეთ ჩემი შეხედულება წიგნზე: **„იჯარის და ლიზინგის აღრიცხვა და დაბეგვრა".** ყველა ნიშნის მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ ეს წიგნი პრაქტიკული სახელმძღვანელოა საქმიანი წრეებისთვის და იჯარა-ლიზინგით მოსარგებლე გადამხდელებს წონად დახმარებას გაუწევს.

იური პაპასქუა,
აუდიტორთა, ბუღალტერთა და ფინანსურ მენეჯერთა ფედერაციის აღმასრულებელი დირექტორი, ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი, პროფესორი.